



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**დამტკიცებულია**  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2017 წლის 12 აგვისტოს  
№2544 დადგენილებით  
**მოდიფიცირებულია**  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2018 წლის 2 აპრილი  
№01-05-04/95 დადგენილებით

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი**

პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა ბაქრაძე  
საკონტაქტო ინფორმაცია: [n.bakradze@gtu.ge](mailto:n.bakradze@gtu.ge) ; 599470435

თბილისი  
2018 წ.

**1. პროგრამის დასახელება: მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი/Mechanical Engineering Technician**

**2. სარეგისტრაციო ნომერი 07314-3**

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მექანიკაში / Fifth level vocational qualification in Mechanics**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორს შეესაბამება სფეროს „მექანიკა და ლითონის დამუშავება“, კოდი-0715.

**4. მიზანი**

პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები მექანიკისა და ლითონის დამუშავების სფეროსთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ტექნიკური სისტემის - მანქანის, მექანიკური მოწყობილობის და მექანიზმების დაპროექტებაში, დამზადებაში, მომსახურებაში, სერვისსა და რემონტში.

**5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები**

სრული ზოგადი განათლება.

**6. დასაქმების შესაძლებლობები**

მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი შესაძლებელია დასაქმდეს მანქანათმშენებლის საწარმოებში, აგრეთვე ისეთი დარგების საწარმოებში როგორცაა: კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ტრანსპორტი, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება, სოფლის მეურნეობა და სხვა დარგებში, რომელთა საწარმოო პროცესებში გამოყენებულია მანქანა-დანადგარები. აგრეთვე, მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსს გააჩნია სამანქანათმშენებლო მიმართულებით თვითდასაქმების შესაძლებლობა.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის - ISCO - 08 -ს მიხედვით დასაქმების შესაძლებლობებია:

1. ტექნოლოგიური მანქანების ამწყობი;
2. ტექნოლოგიური მანქანების შემკეთებელი;
3. სტაციონარული ძრავების ამწყობი;
4. სტაციონარული ძრავების შემკეთებელი;
5. მექანიკის ინჟინერიის შემფასებელი;
6. მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსები.

საქსტატის - ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით დასაქმების შესაძლებლობებია:

1. მანქანათმშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები;
2. ინსტრუმენტების წარმოება;
3. ლითონის და სხვა მზა პროდუქტების წარმოება;
4. ლითონის და სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სხვა ქვეჯგუფში ჩაუთვლელი;

5. საერთო დანიშნულების მანქანების წარმოება;
6. საკისრების, კბილანების, კბილანაგადაცემების და ამძრავების ელემენტების წარმოება;
7. ამწე-სატრანსპორტო, სატვირთავ-გასატვირთავი და სასაწყობო მოწყობილობების წარმოება;
8. ხელის მექანიზირებული ინსტრუმენტების წარმოება;
9. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება;
10. ლითონის დამამუშავებელი მოწყობილობების და ჩარხების წარმოება;
11. ლითონის მზა ნაწარმის, მანქანების და მოწყობილობების რემონტი.

## 7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

მექანიკაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 120 კრედიტი. ამათგან 102 კრედიტი სავალდებულო ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულებია, დარჩენილი არანაკლებ 18 კრედიტი პროფესიულ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს შეთავაზებული 9 მოდულიდან.

სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 2 წელი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ქართული ენა A2	–	15
2	ქართული ენა B1	ქართული ენა A2	15
		<b>ჯამი</b>	<b>30</b>
ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის ზოგადი მოდულები			
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	–	3
2	უცხოური ენა	–	5
3	მეწარმეობა 3	–	3
		<b>ჯამი</b>	<b>11</b>
მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
4	გაცნობითი პრაქტიკა - მექანიკის ინჟინერიის	–	2

	ტექნიკოსი		
5	საწარმოო პრაქტიკა - მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი	-	14
6	საკონსტრუქტორო ხაზვა მექანიკაში	-	6
7	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	-	3
8	ზოგადი ელექტროტექნიკა	-	3
9	პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირების საფუძვლები	-	3
10	მეტროლოგიის საფუძვლები	-	3
11	ჰიდრო და პნევმო ამძრავების საფუძვლები	-	3
12	დეტალების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები	-	12
13	კვანძის აწყობა	-	5
14	ტექნიკური სისტემის მომსახურება, რემონტი და სერვისი	-	12
15	ნაკეთის საერთო აწყობა - ექსპლუატაციაში შეყვანა	-	12
16	ტექნიკური სისტემის დაგეგმვა - რეალიზაცია	-	3
17	სამუშაოს დაგეგმვამექანიკურ წარმოებაში	-	5
18	საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD	-	5
	<b>ჯამი:</b>		<b>91</b>
	<b>სულ:</b>		<b>102</b>
<b>მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსისარჩევითი მოდულები (სტუდენტმა უნდა აირჩიოს არანაკლებ 18 კრედიტისა)</b>			
	<b>არჩევითი მოდულები</b>		<b>კრედიტი</b>
1	მექანიკური წარმოება		7
3	საწარმოო პროცესების ორგანიზაცია მექანიკურ წარმოებაში		7
7	ლიდერობა და პერსონალის განვითარება		4

### 8. პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ( ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68; ქ. თბილისი კოსტავას ქ. N77), შპს „ილეკროს“ (ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. 1ბ) და შპს „ელიტა ბურჯის“ (ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქ. N42) ბაზაზე.

### 9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები

მექანიკაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

1. დაამზადოს დეტალები ხელით მართვადი იარაღებით და ლითონსაჭრელი ჩარხებით;
2. განახორციელოს კვანძის აწყობა;
3. განახორციელოს ნაკეთის აწყობა და ექსპლუატაციაში გაშვება;

4. უზრუნველყოს ტექნიკური სისტემის მომსახურება, რემონტი და სერვისი;
5. განახორციელოს ტექნიკური სისტემის დაგეგმვა - რეალიზაცია;
6. დაგეგმოს მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის შესასრულებელი სამუშაოები.

#### **10. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია მექანიკის და ლითონის დამუშავების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

#### **11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

#### **12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

### 13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

### 13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი:  
მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) კოდები:  
3115; 7233; 8211.

დანართი:

1. სასწავლო გეგმა
2. მოდულები
3. პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია

პროგრამის ხელმძღვანელი

ნანა ბაქრაძე

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის  
ფაკულტეტის ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

### მიღებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N5

### შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსი

ირმა ინაშვილი

### მოდიფიცირებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N4  
30.03.2018 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარე

ოთარ გელაშვილი